სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №03-08

ქ. თბილისი

15.01.2015

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2014 წლის 13 ნოემბრის №03-1769 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის საფუძველზე, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის, დავით თარხნიშვილის 2014 წლის 13 იანვრის N03-582/15 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება „2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის სადოქტორო საფეხურზე მიღების გამოცხადების, რეგისტრაციის ვადებისა და პროცედურის შესახებ" ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2014 წლის 13 ნოემბრის №03-1769 ბრძანების მეათე პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „10. კვლევითი განაცხადის შეფასება უნივერსიტეტის ვებ-გვედზე განთავსდება 2015 წლის 28 იანვარს;"
2. შევიდეს ცვლილება „2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის სადოქტორო საფეხურზე მიღების გამოცხადების, რეგისტრაციის ვადებისა და პროცედურის შესახებ" ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2014 წლის 13 ნოემბრის №03-1769 ბრძანების მეთორმეტე პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   „12. კვლევითი განაცხადის შედეგებთან დაკავშირებით სააპელაციო განაცხადების მიღება იწარმოებს 2015 წლის 29, 30 იანვარს და 1 თებერვალს, უნივერსიტეტის კანცელარიაში (მის: ჩოლოყაშვილის გამზ. 3/5);"

3. შევიდეს ცვლილება „2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის სადოქტორო საფეხურზე მიღების გამოცხადების, რეგისტრაციის ვადებისა და პროცედურის შესახებ“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2014 წლის 13 ნოემბრის №03-1769 ბრძანების მეცამეტე პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„13. კვლევითი განაცხადის შეფასება აპელაციის შედეგების გათვალისწინებით უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსდება 2015 წლის 3 თებერვალს;“

4. შევიდეს ცვლილება „2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის სადოქტორო საფეხურზე მიღების გამოცხადების, რეგისტრაციის ვადებისა და პროცედურის შესახებ“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2014 წლის 13 ნოემბრის №03-1769 ბრძანების მეთოთხმეტე პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„14. იმ კანდიდატთათვის, რომლებმაც წარმატებით გაიარეს ინგლისური ენის გამოცდა და კვლევით განაცხადში მიიღეს დადებითი შეფასება, გასაუბრება ჩატარდება 2015 წლის 5 და 6 თებერვალს;

5. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა;
6. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს, ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაცია განათავსოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
7. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტს, სამდივნოს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

რექტორი

გიგა ზედანია